

დანართი N_____**თბილისი და რეგიონები****აბონენტი _____****ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:**

- ◆ „აქციის“ დასახელება – 2016 წლის საგაზაფხულო აქცია
- ◆ აქციის პირობები:

1. დსლ/ოპტიკური სილქ ტვ-ს აბონენტებისთვის, (მათ შორის P2P აბონენტები), განისაზღვროს აქციის შემდეგი პირობები:

2. აქციის პირობები გავრცელდეს შემდეგ აბონენტებზე:

- ◆ ახალი აბონენტები რომლებიც დარეგისტრირდებიან ცალკე მდგომ ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებაზე ან მომსახურებებზე რომელიც მოიცავს ოპტიკურ სილქ ტვ-ს;
- ◆ ახალი აბონენტები რომლებიც დარეგისტრირდებიან ოპტიკურ სამმაგ შეთავაზებაზე;
- ◆ არსებული აბონენტები რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური მომსახურებ(ებ)ით და იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას (ან მომსახურებ(ებ)ს რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურებას) და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ ანგარიშზე (ან ერთვება ოპტიკურ ორმაგ/სამმაგ შეთავაზებაში);
- ◆ არსებული დსლ ინტერნეტის აბონენტი რომელიც იმატებს სილქ ტვ მომსახურებას (ან ტვ-ის დამატებით ერთვებიან დსლ სამმაგ შეთავაზებაში);
- ◆ არსებული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტი რომელიც იმატებს დსლ ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას (ან აღნიშნული მომსახურებების დამატებით ერთვებიან დსლ სამმაგ შეთავაზებაში);

3. აქციის პირობები არ ვრცელდება ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც, მისამართზე (სადაც ხდება აქციის პირობით რეგისტრაცია), 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით უფიქსირდებათ სილქ ტვ მომსახურება, იმავე ტექნოლოგიის, რომლითაც რეგისტრირდებიან აქციის ფარგლებში;

4. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით;**

5. აქციის პირობებით რეგისტრაციის ან მისი მოქმედების პერიოდში, აბონენტს შეუძლია უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე. აქციაზე უარის თქმის შემთხვევაში აბონენტს დაერიცხება მომსახურებ(ებ)ის სატანდარტული ღირებულება;

6. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დარეგისტრირდება აქციის პირობით და დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე, აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, იმავე ანგარიშზე დამატებით დაარეგისტრირებს ერთ ან რამდენიმე მომსახურებას, გარდა დამატებითი სილქ ტვ მომსახურებისა (ან მომსახურების დამატებით ერთვება სამმაგ შეთავაზებაში), აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობები;

7. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება **2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.** აღნიშნული პერიოდის შემდეგ ინსტალაციისას, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობების სარგებლობის უფლება;

8. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აქციის პირობით დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დღიდან 6 (ექვსი) კალენდარული თვის ვადით;

9. აქციის ფარგლებში დსლ/ოპტიკური სილქ ტვ-ის „სტანდარტ“ პაკეტზე რეგისტრაციისას, „სტანდარტ“ პაკეტის ღირებულების ფარგლებში აღნიშნული პაკეტით განსაზღვრულ არხებს დაემატება „სილქ სპორტი“ და „სილქ მიქსი“ თემატური პაკეტით განსაზღვრული არხები;

10. აქციის ფარგლებში, სილქ ტვ-ის „სტანდარტ“ პაკეტის აბონენტებს შესაძლებლობა ექნებათ, სურვილის მიხედვით შეარჩიონ წინამდებარე აქციის დანართის მე-9 პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტებიდან

ორივე ან ერთ-ერთი თემატური პაკეტი;

11. აქციის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, აბონენტებს შეუნარჩუნდებათ აქციის პირობით შერჩეული თემატური პაკეტი(ებ)ი და დაერიცხებათ აღნიშნული პაკეტი(ებ)ის სტანდარტული ღირებულება;

12. აქციის ფარგლებში დსლ/ოპტიკური სილქ ტვ-ის „ლაით“ და „ლუქს“ პაკეტზე რეგისტრაციისას (ან შეთავაზება, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტებს), „ლაით“ და „ლუქს“ პაკეტის ღირებულების ფარგლებში აღნიშნული პაკეტით განსაზღვრულ არხებს დაემატება „სილქ სპორტი“ თემატური პაკეტით განსაზღვრული არხები;

13. აქციის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, აბონენტებს შეუნარჩუნდებათ აქციის პირობით შერჩეული თემატური პაკეტი და დაერიცხება აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულება;

14. იმ შემთხვევაში, თუ აქციაში ჩართული სილქ ტვ-ის „სტანდარტ“ პაკეტის (ან შეთავაზება რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტს) აბონენტი, აქციის მოქმედების პერიოდში დაიმატებს/გააუქმებს მომსახურებებს, იმგვარად, რომ შეინარჩუნებს სილქ ტვ მომსახურების „სტანდარტ“ პაკეტს, აბონენტს შეუნარჩუნდება თემატური პაკეტი აქციის პირობით, ხოლო „ლაით“ ან „ლუქს“ პაკეტზე გადასვლისას აბონენტს შეეძლება წინამდებარე აქციის დანართის მე-12 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობების გააქტიურება, თუ აქციის მოქმედების ვადა არ არის დასრულებული. მომსახურების პაკეტის ცვლილებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა გაგრძელდება იმ ვადით, რა ვადაც იყო დარჩენილი პაკეტის ცვლილების განხორციელებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვამდე;

15. იმ შემთხვევაში, თუ აქციაში ჩართული სილქ ტვ-ის „ლაით“ და „ლუქს“ პაკეტის (ან შეთავაზება რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტს) აბონენტი, აქციის მოქმედების პერიოდში შეცვლის/ჩაერთვება/დაშლის სპეციალურ შეთავაზებას, ან/და გააუქმებს მომსახურებებს და შეინარჩუნებს სილქ ტვ მომსახურების „ლაით“ ან „ლუქს“ პაკეტს (ან შეთავაზებას რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტს), აბონენტს შეუნარჩუნდება თემატური პაკეტი აქციის პირობით, ხოლო „სტანდარტ“ პაკეტზე გადასვლისას, აბონენტს შეეძლება წინამდებარე აქციის დანართის მე-9 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობების გააქტიურება, თუ აქციის მოქმედების ვადა არ არის დასრულებული. მომსახურების პაკეტის ცვლილებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა გაგრძელდება იმ ვადით, რა ვადაც იყო დარჩენილი პაკეტის ცვლილების განხორციელებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვამდე;

16. აქციის მოქმედების პერიოდში არ შეიზღუდება აქცის პირობით ჩართული სილქ ტვ-ი მომსახურების (ან შეთავაზების რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომსახურებას) დროებით შეჩერების უფლება. მომსახურების დროებით შეჩერების შემთხვევაში, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას;

17. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი ირთავს წინამდებარე აქციის დანართის მე-2 პუნქტით აღწერილ მომსახურებებს, მოხდება აღნიშნული მომსახურებების წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაცია;

18. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მოხდება მომსახურების წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაცია;

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____